ფინანსთა
მინისტრი

ყორგასლის ქუჩა N16
0114 თბილისი, საქართველო
+995 32 226 14 44
info@mof.ge

27 ივნისი 2024

N 08-02/49528

საქართველოს პრემიერ-მინისტრს
ბატონ ირაკლი კობახიძეს

ბატონო ირაკლი,

საქართველოს მთავრობის სხდომაზე განსახილველად წარმოგიდგენთ საქართველოს მთავრობის განკარგულების პროექტს „რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკს (KfW), მაინის ფრანკფურტსა და საქართველოს (წარმოდგენილს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ (მსესხებელი)) შორის სასესხო შეთანხმების (მდგრადი ურბანული განვითარება – ურბანული მობილობა ბათუმში) საქართველოს პარლამენტში რატიფიცირებისათვის წარდგენისა და მომხსენებლად გ. კაკაურიძის, ე. გუნცაძისა და ა. ჩიქოვანის დანიშვნის შესახებ“.

დანართი: „55“ ფურცელი.

პატივისცემით,

ლაშა ხუციშვილი

მინისტრი

18101
28 06 24
56

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი
MAYOR OF BATUMI MUNICIPALITY

წერილის ნომერი: **14-142417269**
თარიღი: **20/06/2024**

ადრესატი: ფინანსთა სამინისტრო

საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილეს

ქალბატონ ეკატერინე გუნცაძეს

ქალბატონო ეკატერინე,

თქვენი 2024 წლის 12 ივნისის N07-04/45167 წერილის (N:04-1424164396-14) პასუხად გაცნობებთ, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მხრიდან სასესხო შეთანხმების საქართველოს პარლამენტში რატიფიცირებისთვის წარმდგენი და მომხსენებელი ვიქნები მე - არჩილ ჩიქოვანი ქ. ბათუმის მერი.

პატივისცემით,

არჩილ ჩიქოვანი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

6010. ლუკა ასათიანის ქ.N25. ტელ: 0 (422) 27 26 26. ფაქსი: 0 (422) 27 26 01
6010. N25, Luka Asatiani str., ph: +995 (422) 27 26 26. Fax: + 995 (422) 27 26 01. E-mail: info@batumi.ge

ფინანსთა
სამინისტრო

გორგასლის ქუჩა N16
0114 თბილისი, საქართველო
+995 32 226 14 44
info@mof.ge

22 თებერვალი 2024

N 07-04/14337

ფრიად სასწრაფო

საქართველოს იუსტიციის
მინისტრის მოადგილეს
ბატონ ბექა ძამაშვილს

ბატონო ბექა,

გიგზავნით რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკსა („KfW"), მაინის ფრანკფურტი და საქართველოს, წარმოდგენილს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ („მსესხებელი"), შორის სასესხო შეთანხმების (მდგრადი ურბანული განვითარება – ურბანული მობილობა ბათუმში) და რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკსა („KfW"), მაინის ფრანკფურტი და საქართველოს, წარმოდგენილს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ („მიმღები"), შორის საგრანტო შეთანხმების (მდგრადი ურბანული განვითარება – ბათუმში ურბანული მობილობის თანხმლები ღონისძიებები) პროექტებს ინგლისურ ენაზე მათი არაოფიციალური ქართული თარგმანით.

გთხოვთ შეძლებისდაგვარად მოკლე ვადაში მოგვაწოდოთ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დასკვნა აღნიშნული შეთანხმებების პროექტებთან დაკავშირებით.

დანართი: 84 გვერდი.

პატივისცემით,

ეკატერინე გუნცაძე

მინისტრის მოადგილე

https://edoc.mof.ge/public/#/14337-07-04-2-202402221715

QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE

იუსტიციის სამინისტრო

ვახტანგ გორგასლის ქუჩა № 24ა
0114 თბილისი, საქართველო
+995 32 2 405 087
info@justice.gov.ge

28 / მარტი / 2024 წ.

KA010134985671424

№ 3717

საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილეს,
ქალბატონ ეკატერინე გუნცაძეს

ქალბატონო ეკატერინე,

საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2024 წლის 22 თებერვლის № 07-04/14337 წერილით წარმოდგენილი საქართველოსა და რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკს (KfW) შორის გასაფორმებელი (მდგრადი ურბანული განვითარება – ბათუმში ურბანული მობილობის თანხმლები ღონისძიებები) სასესხო და საგრანტო შეთანხმებების პროექტები, რომლებთან დაკავშირებითაც მოგახსენებთ შემდეგს:

1. წარმოდგენილი სასესხო შეთანხმების მე-3 დანართით მოცემულია მსესხებლის მიერ სასესხო თანხის ჩამორიცხვასთან დაკავშირებული სამართლებრივი დასკვნის („Legal Opinion") ფორმა, რომელიც, სასესხო შეთანხმების პროექტის 7.1 მუხლის შესაბამისად, არსებითად მსგავსი შინაარსით უნდა იყოს წარდგენილი. აღნიშნულთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ სამართლებრივი დასაბუთების („Legal Opinion") გაცემაზე პასუხისმგებელი უწყებაა საქართველოს იუსტიციის სამინისტრო. აღნიშნული დოკუმენტის სტანდარტული ფორმა ჩამოყალიბებულია რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკთან მჭიდრო კომუნიკაციის საფუძველზე. ამდენად, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს პოზიციით, სამართლებრივი დასაბუთების სასესხო ხელშეკრულების დანართში ასახვა სამართლებრივ და პრაქტიკულ მნიშვნელობას არის მოკლებული. ამასთან, სამინისტრო გამოთქვამს მზაობას, მხედველობაში მიიღოს კონკრეტული რეკომენდაციები სამართლებრივი დასაბუთების ფორმასა და შინაარსთან დაკავშირებით.

2. წარმოდგენილი სასესხო შეთანხმების პროექტის 10.5 და 10.6 მუხლების შესაბამისად, საკითხი შეთანხმების მარეგულირებელ სამართლად - გერმანული სამართლის, ხოლო დავების გადაწყვეტის ფორუმად - საერთაშორისო სავაჭრო პალატის (ICC) წესების შესაბამისად მოქმედი საარბიტრაჟო ტრიბუნალის (ფრანკფურტი) განსაზღვრის თაობაზე, უნდა გადაწყდეს მიზანშეწონილობიდან გამომდინარე.

3. წარმოდგენილი სასესხო შეთანხმების პროექტის მიმართ მხედველობაშია მისაღები „სახელმწიფო ვალის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლი, რომლის შესაბამისად პარლამენტი ახდენს საგარეო კრედიტების აღებასთან დაკავშირებული ხელშეკრულებების რატიფიცირებას.

4. ტექნიკურ საკითხებთან დაკავშირებით შევნიშნავთ, კორექტირებას საჭიროებს სასესხო ხელშეკრულების პროექტის 8.2 მუხლში არსებული მითითება 8.18.1 მუხლზე.

5. წარმოდგენილ საგრანტო შეთანხმების პროექტთან დაკავშირებით შევნიშნავთ, რომ „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 30 დეკემბრის № 389 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დებულების" მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტისა და მე-17 მუხლის „გ" პუნქტის შესაბამისად, წინამდებარე ადმინისტრაციული ხასიათის საგრანტო შეთანხმება არ ექვემდებარება იუსტიციის სამინისტროს სავალდებულო ექსპერტიზას

პატივისცემით,

საქართველოს იუსტიციის მინისტრის
მოადგილე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ბექა ძამაშვილი

საქართველო

6586-01-2-202402281658

საგარეო საქმეთა სამინისტრო

№ 01/6586
28/02/2024

ფრიად სასწრაფო

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

.

გაცნობებთ, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2024 წლის 22 თებერვლის № 07-04/14351 წერილით წარმოდგენილი - რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკსა („KfW"), მაინის ფრანკფურტი და საქართველოს, წარმოდგენილს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ („მსესხებელი"), შორის სასესხო შეთანხმების (მდგრადი ურბანული განვითარება – ურბანული მობილობა ბათუმში) და რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკსა („KfW"), მაინის ფრანკფურტი და საქართველოს, წარმოდგენილს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ („მიმღები"), შორის საგრანტო შეთანხმების (მდგრადი ურბანული განვითარება – ბათუმში ურბანული მობილობის თანხმლები ღონისძიებები) პროექტების მიმართ, საგარეო საქმეთა სამინისტროს თავისი კომპეტენციის ფარგლებში შენიშვნები არ გააჩნია.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი შეთანხმებების პროექტების 10.5 და 9.4 მუხლის თანახმად, ისინი რეგულირდებიან გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანონმდებლობით. შესაბამისად, წარმოდგენილი დოკუმენტები არ წარმოადგენენ საერთაშორისო ხელშეკრულების პროექტებს და არ საჭიროებენ „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ" კანონით განსაზღვრული შიდასახელმწიფოებრივი პროცედურების განხორციელებას.

პატივისცემით,
ალექსანდრე ხვთისიაშვილი

მინისტრის მოადგილე

0118 თბილისი, შიო ჩიტაძის ქ. №4; ტელ: (+99532) 294 50 00; ფაქსი: (+995 32) 294 50 01
www.mfa.gov.ge

ეკონომიკისა და მდგრადი
განვითარების სამინისტრო

8. გამსახურდიას სანაპირო
№1
0114 თბილისი, საქართველო
+995 32 299 11 11
ministry@moesd.gov.ge

07 / მარტი / 2024 წ.

KA020159562795724

№ 09/1428

საქართველოს ფინანსთა
მინისტრის მოადგილეს
ქალბატონ ეკატერინე გუნცაძეს

ქალბატონო ეკატერინე,

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ განიხილა თქვენი წერილით (N07-04/14341, 22.02.2024ნ.) წარმოდგენილი რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკსა („KfW"), მაინის ფრანკფურტი და საქართველოს, წარმოდგენილს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ („მსესხებელი") შორის სასესხო შეთანხმების (მდგრადი ურბანული განვითარება – ურბანული მობილობა ბათუმში) და რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკსა („KfW"), მაინის ფრანკფურტი და საქართველოს, წარმოდგენილს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ („მიმღები") შორის საგრანტო შეთანხმების (მდგრადი ურბანული განვითარება – ბათუმში ურბანული მობილობის თანხმლები ღონისძიებები) პროექტები.

გაცნობებთ, რომ წარმოდგენილ პროექტებთან დაკავშირებით, სამინისტროს, კომპეტენციის ფარგლებში, შენიშვნები არ გააჩნია.

პატივისცემით,

მინისტრის მოადგილე

ხელმოწერილია/
მტკიცდასმულია
ელექტრონულად

ვახტანგი ცინცაძე

ფინანსთა
სამინისტრო

გორგასლის ქუჩა N16
0114 თბილისი, საქართველო
+995 32 226 14 44
info@mof.ge

11 მარტი 2024

N 07-04/19198

დასკვნა

რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკს (KfW), მაინის ფრანკფურტსა და საქართველოს (წარმოდგენილს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ) (მსესხებელი)), შორის გასაფორმებელ (მდგრადი ურბანული განვითარება – ურბანული მობილობა ბათუმში) სასესხო შეთანხმების პროექტზე

რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკსა (KfW), მაინის ფრანკფურტსა და საქართველოს, (წარმოდგენილს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ (მსესხებელი)), შორის გასაფორმებელი (მდგრადი ურბანული განვითარება - ურბანული მობილობა ბათუმში) სასესხო შეთანხმების პროექტთან დაკავშირებით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში შენიშვნები არ გააჩნია.

მოსალოდნელია, რომ აღნიშნული სასესხო შეთანხმების გაფორმება საფინანსო-ეკონომიკური თვალსაზრისით დადებით შედეგს მოიტანს და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიზანშეწონილად მიაჩნია მისი ხელმოწერა.

ეკატერინე გუნცაძე

მინისტრის მოადგილე

https://edoc.mof.ge/public/#/19198-07-04-2-202403112252

QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE

საქართველოს ეროვნული ბანკი
National Bank of Georgia

N 2-04/622
26/02/2024

622-04-2-202402261720

საქართველოს ფინანსთა
მინისტრის მოადგილეს
ქალბატონ ეკატერინე გუნცაძეს

თქვენს 2024 წლის 22 თებერვლის
N07-04/14348 წერილზე

ქალბატონო ეკატერინე,

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა განიხილა რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკსა („KfW"), მაინის ფრანკფურტი და საქართველოს, წარმოდგენილს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ („მსესხებელი"), შორის სასესხო შეთანხმების (მდგრადი ურბანული განვითარება – ურბანული მობილობა ბათუმში) და რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკსა („KfW"), მაინის ფრანკფურტი და საქართველოს, წარმოდგენილს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ („მიმღები"), შორის საგრანტო შეთანხმების (მდგრადი ურბანული განვითარება – ბათუმში ურბანული მობილობის თანხმლები ღონისძიებები) პროექტები.

გაცნობებთ, რომ ეროვნულ ბანკს, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, წარმოდგენილი დოკუმენტების მიმართ შენიშვნები არ აქვს.

პატივისცემით,

ეკატერინე მიქაბაძე

ვიცე-პრეზიდენტი
საქართველოს ეროვნული ბანკი

0114/თბილისი/ზვიად გამსახურდიას სანაპირო №1/ტელ: 2 406 406, 2 406 120/ფაქსი: 2 406 577/ელ. ფოსტა: info@nbg.gov.ge
№1, Zviad Gamsakhurdia embankment/Tbilisi 0114/Tel.: 2 406 406, 2 406 120/Fax: 2 406 577/E-mail: info@nbg.gov.ge
www.nbg.ge

ფინანსთა
სამინისტრო

გორგასლის ქუჩა N16
0114 თბილისი, საქართველო
+995 32 226 14 44
info@mof.ge

22 თებერვალი 2024

N 07-04/14343

ფრიად სასწრაფო

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ არჩილ ჩიქოვანს

ბატონო არჩილ,

გიგზავნით რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკსა („KfW"), მაინის ფრანკფურტი და საქართველოს, წარმოდგენილს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ („მსესხებელი"), შორის სასესხო შეთანხმების (მდგრადი ურბანული განვითარება – ურბანული მობილობა ბათუმში) და რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკსა („KfW"), მაინის ფრანკფურტი და საქართველოს, წარმოდგენილს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ („მიმღები"), შორის საგრანტო შეთანხმების (მდგრადი ურბანული განვითარება – ბათუმში ურბანული მობილობის თანხმლები ღონისძიებები) პროექტებს ინგლისურ ენაზე მათი არაოფიციალური ქართული თარგმანით.

გთხოვთ შეძლებისდაგვარად მოკლე ვადაში მოგვაწოდოთ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის დასკვნა აღნიშნული შეთანხმებების პროექტებთან დაკავშირებით.

დანართი: 84 გვერდი.

პატივისცემით,

ეკატერინე გუნცაძე

მინისტრის მოადგილე

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი
MAYOR OF BATUMI MUNICIPALITY

წერილის ნომერი: 14-1424094267
თარიღი: 03/04/2024

ადრესატი: ფინანსთა სამინისტრო

საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილეს
ქალბატონ ეკატერინე გუნცაძეს

ქალბატონო ეკატერინე,

თქვენი მიმდინარე წლის 24 თებერვლის N 07-04/14343 წერილის (კანც. რეგ. N04-1424054185-14) პასუხად გაცნობებთ, რომ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას ამ წერილზე თანდართულ, გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკსა („KFW") და საქართველოს (წარმოდგენილს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს) შორის სასესხო შეთანხმების და საგრანტო შეთანხმების პროექტებთან დაკავშირებით შენიშვნები არ გააჩნია, გარდა სასესხო შეთანხმების „4.1" პუნქტისა, რომლის მეორე წინადადება უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „სესხის თანხების აუთვისებლობის გადასახდელი გამოითვლება პერიოდისთვის, რომელიც იწყება წინამდებარე შეთანხმების ხელმოწერიდან 12 თვის შემდეგ და მთავრდება თანხის ჩამორიცხვის დასრულების თარიღით".

პატივისცემით,

არჩილ ჩიქოვანი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

6010. ლუკა ასათიანის ქ.N25. ტელ: 0 (422) 27 26 26. ფაქსი: 0 (422) 27 26 01
6010. N25, Luka Asatiani str., ph: +995 (422) 27 26 26. Fax: + 995 (422) 27 26 01. E-mail: info@batumi.ge